შ რ ო მ ი თ ი ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ.ქუთაისი „—“ ———————— 2012 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შ.პ.ს. „ქუთაისის უნივერსიტეტი“ მისი რექტორის ლელა ქელბაქიანის სახით, შემდგომში „დამქირავებლად“ წოდებული და მეორეს მხრივ მოქალაქე ----------მცხოვრები---------- --პირადი ნომერი № ----------პირადობის მოწმობა №---------- შემდგომში „დაქირავებულად“ წოდებულად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.2. დამქირავებელი მოქმედებს რა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით, იღებს სამუშაოზე დაქირავებულს ---------- თანამდებობაზე, ხოლო დაქირავებული თანახმაა განახორციელოს უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით ამ თანამდებობით განსაზღვრული შრომითი საქმიანობა.

1.3.წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის შრომით, სოციალურ–ეკონომიკურ და პროფესიულ ურთიერთობებს.

1.4. ხელშეკრულების მხარეების უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დამქირავებლის დებულებით, შინაგანაწესით.

მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

2.1. ხელშეკრულება იდება 20 წლის „——„ ———————— “დან 20 წლის „——„ ————“ მდე.

2.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. დამქირავებლის უფლებები და მოვალეობები

3.1. დამქირავებელს უფლება აქვს

3.1.1. მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

3.1.2. შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.

3.1.3. სასწავლო დაწესებულების გონივრული ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ინტერესების პროპორციულად დასაქმებულს შეუზღუდოს უფლება გამოიყენოს საკუთარი ცოდნა და კვალიფიკაცია სხვა კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ.

3.1.4. დაადგინოს შრომის შინაგანაწესი და მოსთხოვოს მისი შესრულება დაქირავებულს.

3.1.5. დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომლებიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

3.1.6. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაავალოს დაქირავებულს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება.

3.1.7. მიავლინოს დაქირავებული სამუშაოს შესასრულებლად ძირითადი სამუშაო ადგილისაგან განსაზღვრულ ადგილზე.

3.1.8. კანონმდებლობის ფარგლებში წაახალისოს დაქირავებული და მის მიმართ გამოიყენოს წახალისების ღონისძიებები.

3.1.9. მოსთხოვოს დაქირავებულს უმაღლესი განათლების მოქმედი კანონმდებლობისა და ავტორიზაცია/აკრედიტაციის პირობების შესაბამისად უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის (სრული პროფესორის გარდა) დაკავების შემთხვევაში, არ დაიკავოს აკადემიური

<u>თანამდებობა ერთზე მეტ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს მოთხოვოს არ დაიკავოს აკადემიური თანამდებობა სხვა რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საკანონმდებლო სფეროში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად მოახდინოს აუცილებელი კორექტირებები დამსაქმებლისა და დასაქმებულის შრომით ურთიერთობებში.</u>

3.1.10. მოითხოვოს დასაქმებულისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 3.1.3. და 3.1.9. პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

3.2. დამქირავებელი ვალდებულია:

3.2.1. უზრუნველყოს დაქირავებული შრომის ადექვატური პირობებით, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის პედაგოგისა და მკვლევარის სამუშაო გარემოს.

3.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დაქირავებულის შრომის ანაზღაურება.

3.2.3. მუდმივად იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

3.2.4. შექმნას სათანადო პირობები სამეცნიერო კვლევებისა და პროფესიული განვითარებისათვის.

3.2.5. უზრუნველყოს დაქირავებულის ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

3.2.6. უზრუნველყოს დაქირვებული 1-თვიანი ანაზღაურებადი შვებულებით სამსახურის დაწყებიდან 11 თვის შემდეგ.

3.2.7. დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომის ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

მუხლი 4. დაქირავებულის უფლებები და მოვალეობები

4.1. დაქირავებულს უფლება აქვს:

4.1.1. მოითხოვოს სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობების შექმნა.

4.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი შრომის ანაზღაურება.

4.1.3. ისარგებლოს დასვენებით სამუშაო დღის განმავლობაში, დასვენებისა და უქმე დღეებში, აგრეთვე ყოველწლიური ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით წინამდებარე ხელშეკურების, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.

4.1.4. მიიღოს სრული ინფორმაცია შრომითი ურთიერთობებისას მისი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

4.1.5. მოსთხოვოს დამქირავებელს არაუგვიანეს 20 დღისა მიიღოს ინფორმაცია შრომით ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე.

4.2. დაქირავებული ვალდებულია:

4.2.1. პირადად შეასრულოს სამუშაო, გაუძღვეს სასწავლო პროცესს და უხელმძღვანელოს სტუდენტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევით მუშაობას.

<u>4.2.2 ყოველ კვირაში, 2 საათი გამოყოს სტუდენტებთან დამატებითი ინდივიდუალური მუშაობისათვის, ხოლო სესიების პერიოდში საგამოცდო დავალებების შემუშავებისა და ნამუშევრების გასწორებისათვის დამატებით თითო ჯგუფზე 5 საათი.</u>

4.2.3. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, დაქირავებულის ადმინისტრაციული აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და ეთიკის კოდექსი.

4.2.4. დაუყონებლივ აცნობოს დამსაქმებელს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს.

4.2.5. მისცეს სტუდენტს ხარისხიანი განათლება.

4.2.6. განახორციელოს კვლევითი სამუშაო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

4.2.7. უხელმძღვანელოს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს.

4.2.8. დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს და დამქირავებლის მითითებებს.

4.2.9. გაუფრთხილდეს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო, მისთვის დამქირავებლის მიერ სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს.

4.2.10. წელიწადში იმუშაოს 1000 საათი, რომლის ცალკეულ კომპონენტებს შორის განაწილებაც განისაზღვრება ინდივიდუალური ხელშეკრულების დანართით.

4.2.11. ყოველი სემესტრის ბოლოს წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ ინდივიდუალური ხელშეკრულების დანართის მიხედვით გათვალისწინებული საათების შესაბამისად, რომელსაც წინასწარ ამტკიცებს სასწავლო ნაწილის უფროსი.

4.2.12. უმაღლესი განათლების მოქმედი კანონმდებლობისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პირობების შესაბამისად ითანამშრომლოს დამქირავებლის გარდა მხოლოდ ერთ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, გარდა სრული პროფესორისა, ხოლო საკანონმდებლო სფეროში ცვლილებების შემთხვევაში, დამსაქმებლის ავტორიზაციის მიზნებისათვის შრომით ურთიერთობებში განახორციელოს აუცილებელი კორექტირებები. სასწავლო დაწესებულების გონივრული ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ინტერესების პროპორციულად საკუთარი ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ.

4.2.13 სრულ პროფესორს უფლება არა აქვს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში რომელიმე აკადემიური თანამდებობის დაკავებისა.

4.2.14. აანაზღაუროს მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 3.1.3. და 3.1.9. პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მუხლი 5. შრომის ანაზღაურება

5.1.დამქირავებელი დაქირავებულს ყოველთვიურად, ხელშეკრულების 4.2.2 მუხლით გათვალისწინებული შრომითი ვალდებულებისათვის ანაზღაურების სახით უხდის 150 ლარს.

5.2 ყოველი საკონტაქტო საათის შესრულებისათვის (ლექცია, პრაქტიკული, ჯგუფში მუშაობა, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა) დამქირავებელი დაქირავებულს უხდის დამატებით ანაზღაურებას საათში - მინიმუმ 20 ლარს სრული პროფესორის შემთხვევაში, მინიმუმ 15 ლარს -ასოცირებული პროფესორის შემთხვევაში, მინიმუმ 10 ლარს ასისტენტ-პროფესორის შემთხვევაში.

5.2. დაქირავებულისათვის ხელფასზე დანამატის, პრემიების ან სხვა ფულადი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 6. სამუშაო დრო

6.1. დაქირავებულის სამუშაო რეჟიმი განისაზღვრება 48 სამუშაო კვირით, კვირაში ხუთი სამუშაო დღე.

6.2. ზეგანაკვეთური მუშაობა დაიშვება ისეთ შემთხვევებში, რომელიც საფრთხეს უქმნის დაწესებულების ფუნქციონირებასა და განვითარებას.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები:

7.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

7.1.1. მხარეთა შეთანხმება;

7.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით დაწესებული ვადის გასვლა;

7.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.2.9. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ზედიზედ ორი თვის განმავლობაში. ასევე 4.2.11 და 4.2.12 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა;

7.1.4. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის სტანდარტების არაერთჯერადი დარღვევა;

7.1.5. სამეცნიერო ნაშრომის არაობიექტური შეფასება;

7.1.6. პროტექციონიზმი;

7.1.7. სილაბუსის შინაარსიდან არსებითი გადახვევა;

7.1.8. უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის უხეში დარღვევა;

7.1.9. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

7.2. დამსაქმებლის ინიციატივით, ვადაზე ადრე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია საგანმანათლებლო დარგის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში შეტანილი შესაბამისი ცვლილების საფუძველზე

მუხლი 8. სადაო საკითხების წესი

8.1. მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საქმე მხარეთა ინიციატივით შეიძლება გადაეცეს სასამართლოს.

მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

9.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

9.3. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე

მხარეთა ხელმოწერები

დამქირავებელი	**დაქირავებული**
შპს ქუთაისის უნივერსიტეტის	---
რექტორი	---
პროფ. ლელა ქელბაქიანი	---

მისამართი: ქუთაისი, წერეთლის ქ.№13	---
ტელ: 24-23-73, 24-52-97, 24-33-14	
ფაქსი: 24-57-72, 24-11-40	
ელ.ფოსტა info@unik.edu.ge	

ხელშეკრულების დანართი

№	კომპონენტი	საათი	შეზღუდვა
1	სააუდიტორიო (საკონტაქტო) დატვირთვა	1	საშუალოდ 300 საათი
2	სააუდიტორიო მუშაობისათვის მომზადება	1	1 სთ თითო სააუდიტორიო საათზ
3	კონსულტაცია/ინდივიდუალური მუშაობა	96	2 საათი კვირაში
4	საგამოცდო დავალებების მომზადება/გასწორება	5	თითო საგამოცდო ჯგუფზე
5	საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	5	
6	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	10	
7	დოქტორანტის ხელმძღვანელობა	40	
8	დისერტაციის ოპონირება	25	
9	თარგმანის შესრულება	10	თითოეულ გვერდზე
10	სამეცნიერო პუბლიკაცია	30	რეფერირებად ჟურნალში
11	სამეცნიერო პუბლიკაციის რედაქტირება	15	
12	სახელმძღვანელოს შემუშავება-გამოქვეყნება	200	ქუს სახელით
13	მონოგრაფიის გამოქვეყნება	300	ქუს სახელით
14	სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის თარგმანის გამოსაცემად მომზადება - რედაქტირება	250	ქუს სახელით
15	წარმატებული საგრანტო პროექტის მომზადება	80	
16	საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელება	100	
17	ქუს სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა	25	
18	საუნივერსიტეტო ან საფაკულტეტო კომისიის/საბჭოს წევრობა	50	